მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური ტ. თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24 ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.

ტელეფონები (რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58)

ყველა საქმეები: ფულის მუშაობა-მოსაბარათ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომბარდების ტრანზიტით—20 კ. აუწყობა ციფრებით—28 კ. ა. | კვეკ. გარეშე—40 კ. აუწყობა ციფრებით—60 კ., შეთ ვეფრ - დებში—ორჯერ მეტი. საგანგებო განცხადება—3 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

დღიური

— ჩეხო-სლოვაკიის პრესა მოითხოვს საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობას.

— საფრანგეთში მოლაპარაკებენ ახლადშერჩეულ კომუნისტ სოციალისტებს.

— ამერიკის მთავრობამ გაიწვია რუმინეთიდან თავისი ელჩი.

— ყორესის ნეშტი გადაასვენეს პოლონეთში.

— ინგლისის პაციფისტებმა ცუმბარები დაუშინეს ხელ. სულეიმანს (მცირე აზიაში).

№ 156 (1011) პარასკევი 11 ივლისი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. № 156 (1011)

სამ. კომპარტიის ცეკას პლენუმი

ივლისს 11 ივლისს, დილის 10 საათზე, საქართველოს კომპარტიის ცეკას შენობაში გაიხსნება

საქართველოს კომპარტიის ცეკას გაფართოებული პლენუმი

დღის წესრიგი:

1. მოსავლის პერსპექტივები და ზომები გლეხობისათვის დახმარების გასაწევად.
2. მოხსენება რ. კ. პ. (ბ.) მე-12 ყრილობის შესახებ.
3. ანგარიში ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის შესახებ.
4. „ცეკავშირის“ და „წარმოკავშირის“ ანგარიში და „წარმოკავშირის“ მუშაობის გეგმა.
5. სოფლის ადმინისტრაციული აპარატის საკითხები.
6. პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობის მუშაობისა და საკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.
7. საქართველოს სამრეწველო ბანკის საკითხი.
8. გლეხების მიღება პარტიაში.

ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ორშაბათს, 21 ივლისს, შუადღის 12 საათზე ა. ჯ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის შენობაში

შესდგება

ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პლენუმი

ანგარიშების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა

ა. ჯ. საოლქო საკონტროლო კომისიის მდივანი ვ. სტურუა

პროფესიონალური ინტერნაციონალის კონგრესი

ბერლინში დაიწყო მუშაობა წითელ პროფკავშირების საერთაშორისო ინტერნაციონალის კონგრესმა. მუშათა ერთიანი საერთაშორისო მოძრაობისა-თვის ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ კონგრესის დღის წესრიგზე. ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხი ... ერთ-ერთ ფრონტის შექმნა, რომელიც ... ეკონომიკურ ... ბრძოლა ... ინტერნაციონალ ... ინტერნაციონალ ... ინტერნაციონალ

უკანასკნელი საათი

მაკდონალდი და ერრიო საფრთხეშია

პარიზი. 9 ივლისი. როგორც მემარჯვენე პრესა აცხადებს, მაკდონალდი ჩავიდა პარიზში იმიტომ, რომ გადაარჩინოს არა მარტო ერრიოს კაბინეტი, არამედ თავისიც, ვინაიდან, იმ შემთხვევაში, თუ ლონდონის კონფერენცია ჩაიშალა, ორივეს მთავრობა დაეცემა.

ვერსალის ხელშეკრულება ისევ ძალაში რჩება

პარიზი. 10 ივლისი. გაზ. „პტი პარიზიენ"-ის ცნობით ზორიეე პრემიერებმა გუშინდელ თათბირზე გადასწყვიტეს, რომ ვერსალის ხელშეკრულება ხელუხლებლად დარჩება და რომ ის მომავალშიც მოკავშირეთა „წმინდათა წმინდა" იქნება. სხვა გაზეთები აღნიშნავენ, რომ პრემიერებმა აღადგინეს „მეგობრული თანხმობა".

საბჭოთა კავშირი დიდი ძალაა.

ლონდონი. 9 ივლ. ეხება რა უკანასკნელ კამათს თემთა პალატაში ინგლის-საბჭოთა კონფერენციის შესახებ, ლიბერალების ორგანო „დეილი ნიუზ" უწოდებს ამ კამათს „უნაყოფოსა და უადგილოს". გაზეთი სთვლის, რომ ძლიერ სუსტია იმედები იმის, რომ კონფერენცია შესძლებს იმ ამოცანების გადაჭრას, რისთვისაც იყო ის მოწვეული, მაგრამ აცხადებს, რომ თუ შეუძლებელია დაუყოვნებლივ შეთანხმების მიღწევა ვალების საკითხში, მაინც შესაძლებელია, რომ მთავრობა მიიღებს წინადადებას კოლექტიური ხელშეკრულების დადების შესახებ ერთის მხრით საფრანგეთ-ბელგია-გერმანია-ინგლისსა და მეორე მხრით საბჭოთა კავშირს შორის. გაზეთი წერილის დასასრულში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვერავითარი სერიოზული ღონისძიება ვერ იქნება გატარებული, სანამ საბჭოთა კავშირი არ მიიღებს მონაწილეობას მსოფლიო პოლიტიკაში.

ფაშისტების დემონსტრაცია

რომი. 7 ივლ. ქალაქ პალერმოში ფაშისტებმა მოაწყვეს მანიფესტაცია. გაზეთი „ილ მონდო" ამის შესახებ სწერს: „ვისაც ახსოვს, თუ როგორის ზეიმით იქნა მიღებული ორი თვის წინათ მუსოლინი პალერმოში, მას გაუკვირდება ის ცივი შეხვედრა, რომლითაც ეხლა ეგებებიან ფაშისტებს".

ფაშისტურმა პროცესიამ გაიარა ხალხში, რომელიც მას სამარისებური სიჩუმით ხვდებოდა. აივნებზე გამოფენილი არ ყოფილა არც ერთი დროშა. ყველა ფანჯრები დახურული იყო.

სხვადასხვა ამბები

— **აჯანყება ფართოვდება.** ბრაზილიის ჯარისკაცების აჯანყება ფართოვდება. აჯანყებული ჯარისკაცები ემუქრებიან რესპუბლიკის სატახტო ქალაქს.

— **პოლიციის პროვოკაცია.** ლვოვის პოლიციამ ასაფთქებელი მანქანა „აღმოაჩინა" სამხედრო საწყობებში, ქალაქის განაპირა უბანში. პოლიციამ დაუპატიმრა რამდენიმე უკრაინელი რკინისგზელი.

— **მუშათა მთავრობა „მუშაობს".** ინგლისის ათმა ჰაეროპლანმა ყუმბარები დაუშინა ქ. სულეიმანიეს. დამფრთხალი მოსახლეობა გაიქცა ქალაქიდან.

— **გმირული ბრძოლა.** ქ. ოსაკის (იაპონია) გაფიცულ მუშებს დასაპატიმრებლათ გამოედევნა პოლიცია. 2500 მუშამ მთებს შეაფარა თავი. მუშებმა განაცხადეს, რომ არ განაახლებენ მუშაობას, სანამ მათი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული არ იქნება.

— **ახალი მიწის კანონი.** გერმანიის რეისტაგი შეუდგა მიწის ახალი კანონის განხილვას. განზრახულია მიწაზე დამატებითი გადასახადების შემოღება.

— **რადიჩს აეკრძალა ვენაში ჩასვლა.** სამხრეთ-სლავიის დელეგატს კომინტერნის კონგრესზე სტეფანე რადიჩს, რომელიც ამჟამად მოსკოვში იმყოფება, ავსტრიის მთავრობამ აუკრძალა ვენაში ჩასვლა.

— **ყორესის ნეშტის გადატანა პანთეონში.** საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ მიიღო წინადადება ჟორესის ნეშტის პანთეონში გადატანის შესახებ.

— **სადღეს მოუთმენლად ელიან.** ჟურნალი „რუსეთ-საფრანგეთის მეგობრობის სიზოგადოება" აცხადებს, რომ საფრანგეთში სადღეს დაბრუნებას მოუთმენლად მოელიან.

საბჭოთა კავშირის ცნობას მოითხოვენ. ჩეხო-სლოვაკეთის აგრარული პარტიის ორგანო „ვეკკოვ" მოთხოვს საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობას.

— **ამერიკა და რუმინეთი.** ამერიკის მთავრობამ გაიწვია თავისი ელჩი რუმინეთში. ელჩმა მთავრობას უნდა გაუკეთოს მოხსენება იმის შესახებ თუ რამდენად დაარღვია ამერიკის ინტერესები რუმინეთის ახალმა კანონმა ნავთის წყაროების ექსპლოატაციის შესახებ.

— **კატასტროფა გემზე.** ბერლინიდან მიღებული ცნობით, ამერიკულ გემზე „ფრიკერ" ცეცხლი გაჩნდა. 350 მგზავრი წყალში გადაცვივდა. დიდი უმრავლესობა დაიღუბა.

— **რუს მეცნიერის აღმოჩენა.** რუსმა მეცნიერმა კოზლოვმა მონღოლეთში აღმოაჩინა ჩინეთის მეფეების რამდენიმე საფლავი.

— **პროპორციონალური არჩევნები საფრანგეთში.** საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა პარლამენტში შეიტანა წინადადება პროპორციონალური საარჩევნო სისტემის შემოღების შესახებ.

— **ზაგლულ-ფაშა ევროპაში.** ეგვიპტის ნაციონალისტების ლიდერი ზაგლულ-ფაშა ევროპაში გაემგზავრა.

— **მაკედონიაში.** მაკედონიაში მღელვარება დაიწყო. საბერძნეთის მეფის მომხრეები სახელმწიფო გადატრიალებს ამზადებენ.

პროფინტერნის მესამე კონგრესი

9 ივლისის სხდომა

პროფინტერნის აღმასრულებელი ბიუროს მოხსენება.

მუშაობის პირობები.

მოსკოვი. 10 ივლისი. მოხსენება პროფინტერნის აღმასრულებელი ბიუროს მოქმედების შესახებ გააკეთა ამხ. **ლოზოვსკიმ,** რომელმაც მოკლეთ დაახასიათა ის რთული საერთაშორისო პირობები, რომელშიც უხდებოდა მუშაობა პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროფინტერნის მუშაობა ორი მიმართულებით ვითარდებოდა — ბრძოლა პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობისათვის და რევოლიუციონური მუშათა მოძრაობის ჩამოსაყალიბებლად. **მიუხედავად რეფორმისტების დიდი წინააღმდეგობისა, რომლებიც ხელს უშლიდნენ პროფესიონალურ მოძრაობაში მთლიანობის დამყარებას, პროფინტერნის მიერ ჩაატარებულმა მთელ რიგმა კონფერენციებმა დადებითი შედეგები გამოიღო.**

ბრძოლა ანარქო-სინდიკალისტებთან.

განსაკუთრებით ვრცლად ეხება ამხ. ლოზოვსკი ბრძოლას ანარქო-სინდიკალისტებთან. ამ ბრძოლას შედეგათ მოყვა ის, რომ **ანარქო-სინდიკალისტებმა ჩქარა დასტოვეს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ასპარეზი. მუშები სტოვებენ ანარქო-სინდიკალისტების რიგებს და გადადიან წითელი ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.**

ამხ. ლოზოვსკი ხაზს უსვამს პროფინტერნის კავშირს კომინტერნთან, რომელსაც განსაკუთრებული გაფაფრებით ებრძვიან ანარქო-სინდიკალისტები. ეს კავშირი წარმოადგენდა პროფინტერნის მთავარ ძალას.

მუშაობა აღმოსავლეთში.

დიდი ადგილი ეჭირა პროფინტერნის საორგანიზაციო მუშაობაში აღმოსავლეთში მუშაობას. ახლახან დამთავრდა კომინტერნისა და პროფინტერნის მიერ მოწვეული თათბირი წყნარი ოკეანეს სანაპიროების ტრანსპორტის მუშებისა. ამ კონფერენციამ საძირკველი ჩაუყარა შორეული აღმოსავლეთის ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციას. ამ ორგანიზაციას უდიდესი მნიშვნელობა ექნება წყნარი ოკეანეს სანაპიროებზე მუშათა მოძრაობისათვის.

ამსტერდამის ინტერნაციონალი იშლება.

პროფინტერნის განვითარებასა და მის მიღწევებს განსაკუთრებით ცხადყოფს ამსტერდამის ინტერნაციონალის გახრწნა და დაშლა.

პროფინტერნი—მსოფლიო მუშათა მოძრაობის ცენტრია.

უკეთესს რა ჯამს მუშაობას, მოხსენებელი აღნიშნავს, რომ **პროფინტერნი გადაიქცა ნამდვილ საერთაშორისო ორგანიზაციად. მისი გავლენა იზრდება ყველა ქვეყნებში და მან მტკიცედ მოიმაგრა ფეხი წყნარი ოკეანეს სანაპიროებზე. ის თანდათანობით, მაგრამ მტკიცედ გადადის პრობაგანდისტული საორგანიზაციო მუშაობიდან მსოფლიო მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობაზე და გამოყავს მისი მომხრე ორგანიზაციები შეთანხმებული საერთაშორისო გამოსვლების ფართე ასპარეზზე.**

რეზოლიუცია.

მოხსენების შემდეგ, კონგრესი, ამხ. ლოზოვსკის წინადადებით, ერთხმად იღებს მის მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციის პროექტს. რეზოლიუცია სავსებით იწონებს აღმასრულებელი ბიუროს მუშაობას. რეზოლიუციის პროექტი საბოლოო რედაქციისათვის გადაეცა სპეციალურ კომისიას.

თეთრი ტერორის წინააღმდეგ

მოსკოვი, 10 ივლისი. პროფინტერნის მესამე კონგრესის მიმართავა მთელი მსოფლიოს პროლეტარიატისადმი.

შეუდგა რა თავის საქმიან მუშაობას, პროფინტერნის მესამე კონგრესს საჭიროთ მიაჩნია გამოაჟაკავოს მთელი მსოფლიოს მშრომელების წინაშე საერთაშორისო ბურჟუაზიის ძალადობის პოლიტიკა, იმ ბურჟუაზიის, რომელიც გაერთიანებულია ფაშიზმის და დემოკრატიის დროშის ქვეშ. იტალიაში და ესპანეთში მუსოლინის და რივერას მთავრობის აგენტები სისტემატიურათ სცემენ რევოლიუციონურ მუშებს. მის შემდეგ, რაც რამოდენიმე ათასი რევოლიუციონური მუშები ბრძოლის მსხვერპლი გახდენ, მის შემდეგ, რაც გარეკილი იქნა მუშათა ორგანიზაციები და ცეცხლის ალს მიეცა შრომის ბირეკები, იმ საშინელ ტანჯვა-წამების შემდეგ, რომელსაც აყენებენ კაპიტალიზმის ჯალათები მრავალ ათას პატიმრებს,—იტალიის სოციალისტური პარტიის დეპუტატის—მატეოტის მოკვლა ნათლათ ააშკარავებს არსებობის იმ საშინელ პირობებს, რომლებშიც ჩააყენა იტალიის მშრომელი მოსახლეობა კაპიტალისტურმა ტერორმა. იტალიისა და ესპანეთის მიერ დაწყებული ტერორის ეს სისტემა შეთოდიურათ და აშკარად ტარდება და ის უკვე საერთაშორისო ხასიათის იღებს; ტერორის ამ სისტემას უშუალო დახმარებას უწევენ დემოკრატიული მთავრობები. მსოფლიოს ყველა ქვეყნებში რევოლიუციონური ორგანიზაციები კანონს გარეშე არიან გამოცხადებული. ბურჟუაზიული უფლების ნორმებიც კი გათელილია კაპიტალიზმის მიერ, რომელიც არაფრის წინ არ იხევს უკან, როდესაც მისთვის საჭიროა საკუთარი ინტერესების დაცვა. გერმანიაში ფაშიზმი მუშათა ორგანიზაციებშიც კი შეიჭრა; მთავრობა ხელს უწყობს და დახმარებას უწევს ფაშიზმს და ამით ის საშინელ პიროპებში აყენებს პროლეტარული თავდაცვის საქმეს. მაკდონალდის სამინისტრო ინგლისში თავის მუშურ მხრუნველობას ავრცელებს იმპერიის ყველა კოლონიებზე, ინდოეთამდისაც კი, სადაც ტკივილის მფრქვეველების საშუალებით აკრობენ საგაფიცო მოძრაობას და სადაც ციხეები ავსილია აჯანყებული პროლეტარიატით. მთელს მსოფლიოში გაბატონებული კლასი სდევნის პროლეტარიატის დამცველებს, მათთან ანგარიშს ასწორებს აშკარა ტერორის საშუალებით, რომელსაც ხელს უწყობს პირმოთნე დემოკრატია. საერთაშორისო პროლეტარიატის წარმომადგენლებმა იციან, რომ ძალადობის პოლიტიკა, რომელსაც ბურჟუზია ანხორციელებს, ნაკარნახევია კლასიური ბრძოლის აუცილებლობით თავისი საკუთარი გაკეტრების წინასწარ შეგრძნობით და აგრეთვე სურვილით დაიცვან თავისი პოზიციები მოახლოვებული საერთაშორისო რევოლიუციის იერიშებისაგან. მხოლოდ კლასიური ორგანიზაციებით, რომლებიც არაფრის წინ უკან არ დაიხევენ და არ შედრკებიან, შესძლებს საერთაშორისო პროლეტარიატი თეთრი ტერორის მოსპობას და სისტემატიურ შეტევაზე გადასვლით ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ექსპლოატაციის დამხობას და პროლეტარულ ძალაუფლების დამყარებას. თეთრ ტერორს ერთგული მოკავშირეები ჰყავს სოციალ-გამყიდველების და ანარქო-რეფორმისტების სახით. პროფინტერნის მესამე კონგრესი მოუწოდებს ყველა მშრომელებს დაუყოვნებლივ შეუდგენ თავისი ძალების კონცენტრაციას და ემზადონ შეერთებულ შეტევისათვის პროფინტერნის წითელი დროშის ქვეშ.

პარიზის კომუნარების დროშა მოსკოველ შრომელებს

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სენის ორგანიზაციის წერილი მოსკოველ ამხანაგებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

სენის ოლქის კომუნისტური ორგანიზაციების მეოცე რაიონმა ერთხმად დაადგინა გადასცეს მოსკოველ კომუნისტებს პარიზის კომუნის ერთ-ერთი ბატალიონის დროშა.

ეს დროშა, ამხანაგებო,—აჯანყებულების ნამდვილი დროშა, დამზადებული უბრალო წითელი მატერიიდან, რომელზედაც არ არის არავითარი წარწერა—ეს დროშა გამოვლებულია ბარიკადების ცეცხლში, მის გარშემო შემოკრბენ პარიზის კომუნის უკანასკნელი დამცველები, ბელ-ვილის და პერ-ლაშეზის უბნებში.

პარიზის პროლეტარიატის ბრძოლის ეს რევოლიუციონური სიმბოლო, გადარჩენილი კომუნარის მიერ, რომელიც უკვე აღარ არის ცოცხალი, გადაეცა შესანახად ედუარდ ვალიანს, კომუნის ძველ წევრს, და შემდეგ მან გადასცა საჩუქრად სოციალისტური მუშათა პარტიის მეოცე რაიონს ყველა სოციალისტური პარტიების გაერთიანების შემდეგ ერთ სოციალისტურ პარტიად, ეს დროშა 20-ე რაიონის ყველა სოციალისტების კუთვნილება გახდა.

ქ. ტურში მომხდარი განხეთქილების დროს, სოციალისტური პარტიის მეოცე რაიონის ფრაქციამ, რომელიც მესამე ინტერნაციონალის მხარეზე იყო, მიიღო ზომები, რომ 1871 წ. რევოლიუციონერების ეს დროშა არ ჩავარდნოდა ხელში მუშათა კლასის მოღალატეებს. 1921 წლის შემდეგ, კომუნარების დროშა, გამოფენილი მეოცე რაიონის კომორგანიზაციების შენობაში პიას ქუჩაზე, 28, მთავარ ადგილზე ადგა მეოცე რაიონის ახალგაზრდა კომუნისტური ორგანიზაციის წევრებს, რომ მათ უნდა დაივნყონ დემოკრატიული ტრადიციები, თუ ნამდვილათ სურთ 1871 წ. რევოლიუციონერების ღირსეულ მემკვიდრეებად გახდომა.

საფრანგეთის მუშა-კომუნარებმა ჩაბარეს მოსკოვში პარიზის კომუნის დროშა და ჩაბარეს მოსკოვის კომუნისტებს შესანახად.

მეოცე რაიონი სიამაყით აცნობებს მოსკოველ კომუნისტებს, რომ მესამე ინტერნაციონალში შესვლის დღიდან, ის ავანგარდში ედგა ყველა ორგანიზაციებს და ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა საფრანგეთის პარტიის ბოლშევიზაციისათვის.

მეოცე რაიონი, ამხანაგებო, აფასებს იმას, რომ თქვენ, მოსკოველმა კომუნისტებმა, გაიგეთ მისი წევრების სულიერი განწყობილება. და დარწმუნებულია, რომ თქვენ სიხარულით მიიღებთ თავის თავზე კომუნარების დროშის შენახვის და შ[illegible] ინტერნაციონალ[illegible] ამ სიმბოლოს შენახ[illegible] გითქვამთ, რომ ენერგიულ[illegible] ლალავი მუშობით ხელ[illegible] ამას, რომ ჩქარა დაჭ[illegible] როცა მოსკოველი ძმები [illegible] დაადგენენ ეს დროშა [illegible] მუნაში მას შემდეგ, რ[illegible] სისაძაგლის ავტორები [illegible] იქნებიან.

ჩვენ გატყობინებთ, [illegible] მეოცე რაიონის 2000 [illegible] ლიუციონერმა, რომლებ[illegible] კომუნისტურმა პარტ[illegible] (კოოპერატივი, რომელიც[illegible] დეს მეოცე რაიონის კო[illegible] ფიცი დასდვეს კომუნის [illegible] რომ მთელ თავის ძალ[illegible] რებენ რუსეთის რევ[illegible] ცვას და კომუნისტურ[illegible] ის მომზადებას ყველა [illegible]

მეორე დღეს, მა[illegible] დღეს, კომუნარების [illegible] რიზის პროლეტარიატ[illegible] 1871 წლის კომუნარებ[illegible]

მეოცე რაიონის [illegible] კერძოთ კომუნის ძველ[illegible] სახელითა, რომელიც [illegible] ვნებით გამომეზავრებ[illegible] რომ გადმოეცა თქვენ[illegible] დროშა, რომ ბურჟუ[illegible] ჩვენთვის პასპორტების [illegible] შუალება,—ჩვენ მე ობ[illegible] გიძღვნით და გარწმუნებ[illegible] ღვრო ერთგულებაში მ[illegible] ტური ინტერნაციონალ[illegible]

პარიზის მეოცე რაიონ[illegible] ფშერაკიდ, პარიზის კომ[illegible] მებრძოლი რაზმე ილ[illegible]

ნითელ ფესვებიდან

რუსეთი

რუსეთის კომკავშირის მოსკოვის საგუბერნიო კრებლობა.

მოსკოვი. 10 ივლისი. დამთავრდა რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის მოსკოვის საგუბერნიო ყრილობა, რომელშიც მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ ამიერიდან რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირს დაერქვას რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის ლენინის კავშირი. ყრილობამ მოიწონა რ. ა. კ. კ. ცეკას მუშაობა და აღნიშნა, რომ გასული პერიოდი იყო კომკავშირის მუშაობის გაძლიერების, რ. ა. კ. კ. ზრდის და მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის მასებზე კომკავშირის გავლენის გაძლიერების პერიოდი. ყრილობამ მიიღო დადგენილება ამხ. ამხ. ზინოვიევის, სტალინის და ბუხარინის საპატიო კომკავშირელებათ ჩარიცხვის შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო ბანკის გახსნა.

მოსკოვი. 10 ივლისი. გაიხსნა საბჭოთა კავშირის ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკი. კრება გახსნა ამხ. სმილგამ, რომელმაც აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო ბანკის გახსნა ყველაზე უფრო დიდი მოვლენაა ჩვენს სამეურნეო ცხოვრებაშიო

ბანკის გახსნას მიესალმენ ამხ. ამხ. რიკოვი, სოკოლნიკოვი და კალინინი.

უპარტიო გლეხების სრულიად რუსეთის ცაკის წევრების და საბჭოთა კავშირის მთელი გლეხობის სახელით, სრულიად რუსეთის ცაკის წევრი ამხ. ფომინი მადლობას უძღვნის საბჭოთა მთავრობას სასოფლო-სამეურნეო ბანკის გახსნისათვის და აცხადებს, რომ გლეხები ყველა ზომებს მიიღებენ იმისათვის, რომ გააძლიერონ ბანკის საშუალებები.

რუსეთის ცაკის წევრების—უპარტიო გლეხების თათბირის რეზოლიუციია.

მოსკოვი, 10 ივლისი. რუსეთის ცაკის წევრების—უპარტიო გლეხების თათბირი რეზოლიუციაში, რომელიც მან მიიღო ამხ. რიკოვის მოხსენების შემდეგ, სურვილს გამოსთქვამს რომ მთავრობამ მტკიცედ განაგრძობს საჭირო ღონისძიებების გატარებას სწორი შეფარდების დასამყარებლად ფასებში სასოფლო-სამეურნეო თესლი იქნებოდა, რადგანაც [illegible] დომის არ დაუშვებდა. ამ[illegible] ლი სოფელს კარგად [illegible] რადგანაც ის ქალაქში [illegible] ტომ მას ასეთი შეცდომ[illegible] მაგრამ მე მიკვირს, რანაირ[illegible] ეს ამბ. დოლიძეს და [illegible] რომლებმაც კარგად იცი[illegible] მაზრაში მომუშავე ამხანა[illegible] ბაკაცობის და ბოროტ[illegible] სტატისტიკა თემებში...

ქურდობის და ყაჩაღ[illegible] სამეგრელო, რომლის [illegible] რაში მე ვმუშაობ, არ[illegible] მაზრას არას დროს არ [illegible] ბოდა. პირიქით, ამ საკ[illegible] მუუბაროთ, პირველი [illegible] საქართველოს ყველა [illegible] რის.

როგორია ქურდ-ბაცაცობა მდგომარეობა ჩვენში? [illegible] ნიკოლოზის დროს, [illegible] იმისა, რომ თემში მამა[illegible] და ერთი, ან ორი სტ[illegible] დებს და ყაჩაღებს ხალ[illegible] ჰყავდათ. მენშევიკების [illegible] დავათ იმისა, რომ თემ[illegible] ბის გამგეობა და მილ[illegible] ყავდათ, ამ მხრივ ივ[illegible] რაც ნიკოლოზის დროს [illegible]

**გასაბჭოების შემდეგ [illegible] და 1923 წ. (ამ უკანასკ[illegible] ნაკლებათ), როდესაც [illegible] აღმასკომიც გვქონდა და [illegible] ნერიც გეყვადა, ქურდობ[illegible] ჩაღობასაც ადგილი ჰქონ[illegible] ის თანდათან კლებულ[illegible] აღმასკომის კანცელარიის[illegible] და თემიდან მილიკონერ[illegible] ქურდობის და ყაჩაღობ[illegible] ბის პროცესი კი არ შეწ[illegible] ჩვეულებრივად გრძელ[illegible] დღეს ჩვენ გვაქვს (ჩვ[illegible] ყოველ შემთხვევაში [illegible] მდგომარეობა, რომლის [illegible] ჩვენი კუთხის მოსახლეობ[illegible] ახსოვს: ყაჩაღობის [illegible] მხოლოდ დარჩენილი; [illegible] ქურდობას, ესეც ისეთი [illegible] ვლენაა, რომ ხალხს ეს [illegible] უკვე მოსპობილად მიაჩნ[illegible] კვირველია, ამით [illegible] მინდა, რომ გარაიონებ[illegible] ცაკობა და ყაჩაღობა [illegible] მე ამით იმას ვამბობ მხ[illegible] გარაიონებას არამც თუ [illegible] შეუწყვია ბოროტ-მოქმედ[illegible]

სოფლად საბჭოთა აპარატების შესახებ *)

(ამახ. გ. მუშიშვილის, თ. დოლიძის, ხარაგოულელის, და ქ. გურგენიძის წერილების გამო.)

საქ. კომ. პარტიის 11 ივლისის პლენუმზე დასმულია საკითხი საბჭოთა ძირითადი აპარატის შესახებ. პლენუმმა, რომელიც გაითვალისწინებს თემთა აღმასკომების მუშაობის და გარაიონების გამოცდილებას, მტკიცე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ამ საკითხის შესახებ რომ ბოლო მოეღოს იმ რყევას, ქანაობას თემის აღმასკომიდან რაიონის აღმასკომისკენ და პირიქით, რომელსაც დღეს ადგილი აქვს ჩვენში და უეჭველად აფერხებს მუშაობას.

ამ საკითხზე გაზეთ „კომუნისტ"-მა გახსნა დისკუსია და უკვე ოთხმა ამხანაგმა გამოსთქვა აზრი. ოთხივენი ამტკიცებენ უკვე არსებული სისტემის (თემის საბჭო თავმჯდომარეობურთ და რაიონის აღმასკომი) უვარგისობაა, მიუღებლობას და ისევ თემის აღმასკომების სისტემის შემოღების საჭიროებას. ჩემის ფიქრით, ყველა ეს ამხანაგები სცდებიან დამბრი შეცდომის მიზეზი ისაა, რომ მათ საბჭოთა სისტემის და ორგანოს გარჩევის დროს სიმძიმის ცენტრი გადაეაქთ სწორეთ იქ, სადაც ის არ უნდა იყოს საბჭოთა სისტემის დედა აზრის მიხედვით.

გავარჩიოთ საკითხი.

საბჭოთა ძირითადი ორგანო შედგება ორი ელემენტისაგან: თვითონ საბჭოსა და აღმასკომისაგან. აღმასკომი გულისხმობს კანცელარიას ერთი ან რამდენიმე მწერლით. საბჭოთა სისტემაში (თუ გინდ ორგანოში) მთავარი, არსებითი ელემენტი, რომლითაც ხასიათდება თვით სისტემა, არის საბჭო,—მასსის თვითმოქმედების, ინიციატივის და აღრზდის ორგანო. ეს ყველასათვის ნათელია. ამაზე წერა ზედმეტად მიმაჩნია, მით უმეტეს მას შემდეგ, როდესაც ამ საკითხზე დისკუსიის ინიციატორმა—ამხ. გ. მუშიშვილმა იმის მტკიცებას, თუ რა არის საბჭო, შაანდომა მისი წერილის სამი მეთხედი მაინც, თუ არა მეტი, და კიდევაც კარგად ახსნა, განმარტა.

აღმასკომი კი, საბჭოთა სისტემაში მეორეხარისხოვანი ელემენტია, საბაც სჭარბობს ადმინისტრმტიული ფუნქციები, ესეც ყველასთვის ცხადია.

აი სწორედ ის ამხანაგები, რომლებიც გაიძახიან რაიონული სისტემის შემოღებით საბჭოთა სისტემის დამასინჯებაზე (ამხ. თ. დოლიძე, „კომუნისტი № 149), აღმშენებლობის საქმის შეფერხებაზე თემებში (კ. გურგენიძე, „კომუნისტი" № 150), ხელის უფლების მასსაზე გაშორებაზე, საბჭოთა სისტემის იდეის შესუსტებაზე მშრომელთა უბნებში (გ. მუშიშვილი, „კომუნისტი" № 141, ხარაგოულელი—„კომუნისტი" № 148), სცდებიან სწორედ იმაში, რომ მათ სიმძიმის ცენტრი საბჭოთა სისტემის გარჩევის დროს გადაეაქთ ადგილ-ადგილ, ეს ეს ეს ... ეს ... ეს ...

პარტიული ცხოვრება

საქ. კომკავშირის მუშაობა ეკონომიურ დარგში

ა. კ. კ. წარმომადგენლობა პროფორგანიზაციებში.

ს. ა. კ. კავშირთა ც. კ.-მა პირველ რიგში ყურადღება მიაქცია პროფორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას. ამ მიზნით ც. კომიტეტმა მოახდინა ახ. კომ. კავშირის წარმომადგენელთა აღრიცხვა პროფორგანიზაციებში. ამჟამად საქართველოს სამრეწველო რაიონებში ახ. კომ. კავშირს ჰყავს 248 წარმომადგენელი. ამ რიცხვიდან ბათომში ამყოფება—48, ჭიათურაში—7, ქუთაისში—11, ბორჯომში—10, ხაშურში—6, სამტრედიაში—6, აფხაზეთში—12, ფოთში—7, თბილისში—143, რაც შეიძენ სხვა მაზრებს, თითქმის ყველა პროფორგანოში ახ. კომ. კავშირს ჰყავს თავისი წარმომადგენელი.

მუშაობა სოფლის ახალგაზრდა მოჯამაგირეთა შორის.

მუშაობა სოფლის ახალგაზრდა მოჯამაგირეთა შორის სუსტად სწარმოებს ამ მიზეზების გამო, რომ სოფლად კავშირს შესაფერი მუშაკები არა ჰყავს.

ახ. კომ. კავშირის ცეკამ გამოჰყო თავის წრიდან მიწა-ტყის მუშაკთა კავშირისთვის წარმომადგენელი, რომელმაც მოახდინა ახალგაზდა ოჯამაგირეების ნივთიერი მდგომარეობის გამოკვლევა.

ახალგაზრდობის შრომის დაცვა

ახალგაზრდობის შრომის დაცვის დარგში ახ. კომკავშირის ინიციატივით მოხდა ახალგაზრდობის ჯანმრთელობის შემოწმება. საექიმო გასინჯვა ვეფხო სულ 1205 ახალგაზრდას, რომელთა შორის 277 ავადმყოფი აღმოჩნდა.

სწარმოებდა კამპანია მუშა-ახალგაზრდების დასასვენებელ სახლებში და ბანაკებზე გასაგზავნად. მოხდა ავტომობილი შეთანხმება საქ. პროფსაბჭოსთან მშრომელი ახალგაზრდობისთვის ცალკე დასასვენებელი სახლის დათმობის შესახებ.

შრომის დაცვის ასისტენტების რაოდენობა 30-მდე გადიდდა. თბილისში ბათომში, ქუთაისსა და ჭიათურაში ასისტენტები საშეფო კომისიებთან ერთად მუშაობას აწარმოებენ ახალგაზრდა შინამრწყველთა შორის.

1 ივნისიდან სწარმოებს მუშამოზარდთა ბიუჯეტის გამოკვლევა, რისთვისაც საქპროფ საბჭომ და საბჭოთა მუშაკების კავშირმა გადაანდო 200 მანეთი:

წარმოებებში ახალგაზრდების განწესერიგება

ვინაიდან ზოგიერთმა სამეურნეო და პროფესიონალურმა ორგანოებმა შუამდგომლობა აღძრეს სახ. კომ. საბჭოს წინაშე წარმოებებში ახალგაზრდობის განწესერიგების გადათვალიერების შესახებ, საქ. ახ. კომ. კავშირის ცეკამ გამოიმუშავა ახალი დადგენილების პროექტი, რომელიც შეთანხმებულია შრომის სახალხო კომისარიატთან.

უმუშევრობა

ტფილისში აღრიცხულია 921 უმუშევარი ახალგაზრდა. ბათომში, ხაშურში და სამტრედიაში 276, აქედან დაზღვეულია 500 ახალგაზრდა. დაზღვეულნი იღებენ დახმარებას თვითეული 5. მან. 25 კაპ. ყოველთვიურად,

საქარხნო სკოლები

უკანასკნელ ხანებში მოეწყო საქარხნო საფაბრიკო. სკოლა 50 ახალგაზრდისთვის თბილისის აღმასკომის ბარჯზე, საბრიგადო მოწაფეების სკოლა რ | გზის მთავარ სახელოსნოებში 80 კაცისათვის.

დუშეთში მოეწყო ახალგაზრდა გლეხობისათვის მეფუტკრეობის სკოლა, კარდანახში მევენახეობა-მეღვინეობის სკოლა და სხვა. მოხდა პროფტექნიკკურსების მოწაფეთა გაწვევა.

ვ.

რა ქენდება ჩვენს კომუჯრედში

(ა. კ. ფინ. სახკომის რწმუნებული საქართველოში)

4 ივლისს შესდგა კომუჯრედის მორიგი ღია კრება, რომელსაც დასწრებ ბევრი უპარტიო ამხანაგებიც. მე-13 პარტკრილობის რეზოლიუციების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ტანახანოვმა, რომელიც ერცლად შეეხო პარტიის მიერ მიღებულ რეზოლიუციებს, აღნიშნა ყრილობის ნაყოფიერი შუშაობა შრომელთა საკეთილდღეოთ. მე-13 ყრილობაზე განმტკიცდა პარტიის მთლიანობა, გაწეულება ბრძოლა დაუნდობელი ლენინიზმის ხაზიდან ყოველგვარ გადახვევას, რომელიც დიდ ზიანს უმზადებდა ჩვენი პარტიის ძლიერებას.

ამავე კრებაზე ინფორმაციული მოხსენება საშეფო სოფელ ახალაქალაქის მდგომარეობის შესახებ გააკეთა ამხ. რაფაკამ. მან აღნიშნა, რომ სოფელში ჩამოდის ერთი მდინარე, რომელიც წყალდიდობის დროს მეტად დიდ ზიანს აყენებს სოფელს. საჭირო არის, რათა გამოინახოს საჩქარო საშველი, რომელიც გადაარჩენს სოფელს ამ ბედისგან. კრებამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო, რათა გამოენახათ საშველი სოფლის ასეთ მდგომარეობიდან გამოყვანისათვის. ამ საკითხის მოგვარება კრებამ მიანდო კომუჯრედის ბიუროს ადგილკომთან შეთანხმებით, და იმედი გამოსთქვა, რომ ასეთ მოვლენას ჯერ-ჯერობით ყურადღება მიექცეს და ცენტრი სათანადო დახმარებას გაუწევს ძმრომელ გლეხობას. მეტად სასიამოვნო და საინტერესოა, თუ როგორ შესტკივა გული ჩვენს ქალაქის მშრომელებს სოფლის გლეხობის მიმართ. სოფლის გლეხობა ჯერ-ჯერობით ვერ არის გამორკვეული და არ იცის ვის მიმართოს და ვინ არის ვალდებული დახმარება გაუწიოს. ჩვენი კომუჯრედი მას გზას გაუკაფავს, და აღმოუჩენს შეძლებისდაგვარათ ყოველგვარ ლახმარებას. ჩვენს კომუჯრედს სწორი გეზი აუღია სოფელთან დასაკავშირებლათ, რომელიც არის ჩვენი მთავარი დანიშნულება, რომ შევასრულოთ ჩვენი უკვდავი ბელადის ანდერძი.

ნ. ქავთარაძე.

ეკონომიური ცხოვრება

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობა

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობა აგრძელებდა და აღრმავდა იმ ხაზს, რომელიც გამომუშავებული იქნა გასული წლების სამეურნეო პერიოდში.

ა. | კ. საგარეო ვაჭრობის მომენტები იგივე არის წრეულსაც, რაც იყო შარშან: ორგანიზაციის და მოწესრიგების დარგში მუშაობის საბჭოთა კავშირის საერთო ფრონტთან გათანასწორება, მუშაობის საერთო გეგმის გამომუშავება, ევროპიული იმპორტის შემცირება და აღმოსავლეთთან, უპირველესად ყოველისა, სპარსეთთან ვაჭრობისათვის ყოველმხრივ ხელშეწყობა წახალისება შემდეგ გაგრძელება აქტიური საგაჭრო ბალანსის, პოლიტიკისა, რომელიც მეტად ნაყოფიერი გამოდგა ევროპის ბაზართან ევაჭრობის ასპარეზიდან კერძო კაპიტალის განდევნა და მისი თანდათანობითი დაპყრობა ა | კ. საგარეო ვაჭრობის აპარატზე და საშუალებებით ეს არის უმთავრესად დამახასიათებელი ა | კ. საგარეო ვაჭრობისთვის.

საგარეო ვაჭრობის ბრუნვა, თუ ტრანზიტსაც ვიანგარიშებთ, 1919 წლის ფასების მიხედვით ოქტომბერ მარტის (1923—24 წლების პერიოდში უდრის 81.271.000 მანეთს) გასული სამეურნეო წლის ამავე პერიოდის (1922—23 წ. ოქტომ.—მარტი) საერთოს ბრუნვამ მიაღწია—25.322.000 მანეთს. ხოლო 1923 წ. აპრილ — სექტემბრის პერიოდში 24.270.000 მანეთს.

აქედან, ცხადია, რომ მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი ნახევრის ბრუნვა შესამჩნევად მეტია: გასულ სამეურნეო წლის პირველ ნახევარს იგი სჭარბობს 24 პროცენტით.

ბრუნვის გადიდება, რომელიც ჩვენი სამეურნეო წინსვლის მაჩვენებელია, ქმნის ხელსაყრელ წინასწარ პირობებს ფულის რეფორმის განმტკიცებისათვის და ჩვენი ქვეყნის შემდეგი ეკონომიური აღორძინებისათვის.

საქონლის ბრუნვის გადიდება გასული წლის ორივე პერიოდთან შედარებით, ხელსაყრელი და სარგებლიანია განსაკუთრებით იმის გამო, რომ ეს ბრუნვის გადიდება მოხდა ექსპორტის შესამჩნევად გადიდებით და იმპორტის ინსოლიუტური და შედარებით შემცირებით.

მაგალითად. საქონლის ბრუნვაში ექსპორტს ეჭირა 22—23 წლის პირველ პერიოდში 40 პროცენტი, 23 წლის აპრილ-სექტემბერში—44 პროცენტი, ხოლო მიმდინარე წლის ნახევარში კი ექსპორტს უჭირავს 54 პროცენტი.

თვით ა.-კავკასიის საქონლის შინაური ბრუნვა (უტრანზიტოდ საანგარიშო პერიოდში უდრიდა 22.262,000 მანეთს—ე. ი. შეადგენდა მთელ ბრუნვის (ტრანზიტთან ერთად) 71 პროც. გასულ სამეურნეო წლის მეორე ნახევრის (1923 წ. აპრილ-სექტემბერი) ბრუნვა უტრანზიტოდ უდრიდა 16.608,000 მანეთს და შეადგენდა საერთო ბრუნვის 68 პროცენტს.

ეხლა ა.-კ. ს. ფ. ს. რ. საგარეო ვაჭრობის ხვედრითი წონა (უტრანზიტოთ) გადიდებულია. გადიდება ხდებოდა თანდათანობით, ხოლო სტაბილიზაცია გადიდების კი მომხდარა თებერვალ-მარტში.

საალმშენებლო-სატრანსპორტო საქციონ. საზოგადოება

რუსეთის საალმშენებლო საქციონ. საზოგადოება, რომლის ერთ-მთავარი აქციონერთაგანი არის საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატი, შეუდგა ოპერაციების წარმოებას საქართველოშიაც.

საზოგადოებამ უკვე დაიწყო თავის მთავარი კონტორის მოწყობა თბილისში. ჯერ-ჯერობით სააგენტო კანტორები გაიხსნება აგრეთვე ერევანსა და ბაქოში.

საზოგადოება მთავარ ამოცანად ა | კავკასიაში ისახავს ადგილად-მოძრაგ ხის საცსოურებელ სახლების (საზაფხულო ტიპის) და აგრეთვე საზამთრო ადგილად ასაწყობი ქვის (ტუფის) სახლების ასაგები ქარხნის ორგანიზაციას.

საალმშენებლო მუშაობა იწარმოებს, როგორც საზოგადოების მრავალ ფეროვანი პროექტების, ისე შემკვეთელთა პროექტების მიხედვით.

საზოგადოება მიზნად ისახავს აგრეთვე ასეთივე ტიპის სასკოლო, საავადმყოფო, საგმნასტო შენობების, ნაჭაუზების, მანეულების და სხვა შენობათა აგებას.

საზოგადოება უმთავრეს საალმშენებლო მასალად ხმარობს ხესა და ტუფს (ერთგვარი კაჟკანური წარმოშობის ქვა არის). სახლებს გამძლეობა 39 კანცელარიის ნაცვლად 7 კანცელარიის არსებობას და 32 კანცელარიის მოხსნას, (კანცელიარიის მოხსნით იხსნება განათების, გათბობის, ბინის, წიგნების და ქაღალდის ხარჯები) ესეც ხარჯებს საგრძნობლად აკლებს.

წერილი ძლიერ გამოგრძელდა. ამიტომ დანარჩენ წვრილმანებს თავს ვანებებ. დასასრულ ვიტყვი შემდეგს:

ყველა საბუთები, რომელიც მოჰყავთ ზემოხსენებულ ამხანაგებს გარაინრების წინააღმდეგ და რომელზეც გვქონდა ლაპარაკი, უსაბუთოა, უსაფუძვლოა. ერთად ერთი საბუთი, რომლითაც შეიძლება გალაშქრება გარაინების წინააღმდეგ, ეს არის ის, რომ გლეხს სხვადასხვა მოწმობების მისაღებად სჭირია ახლა მეტი მანძილის გაკვლა, ვინემ წინეთ, როდესაც თემში ჰქონდა კაცელარია. მაგრამ განა ეს საბუთი ისეთი წონისაა, რომ მან დასძლიოს ყველა ის მოსაზრებანი, რომელნიც საფუძველად უდევს გარაინებას?—არა მგონია.

გარაინების მთავარი საფუძველებია: ა) საბჭოთა სისტემის დროს საბჭოთა აღმშენებლობის სიმძიმის ცენტრის გადატანა საბჭოებში და საბჭოების მასასთან დაახლოება. საბჭოები უნდა გადაიქცეს სკოლად მასის აღსაზრდელად. საბჭოებში სიმძიმის ცენტრის გადატანით მასსა უნდა გადაეჩვიოს იმას, რომ მას მართავდენ, განაგებდენ და უნდა შეეჩვიოს „თვითმმართველობას“.

ბ) ადმინისტრატიული ცენტრების შეფარდება ეკონომიურ ცენტრებთან;

გ) ადმინისტრატიული ერთეულების გამსხვილება ეკონომიურად გაღონიერების მიზნით;

დ) ხარჯების შემცირება.

შეიძლება ბევრი სხვა მოსაზრებათა მოყვანა, მაგრამ ესეც საკმარისია იმ ერთად ერთი და ისიც მუბეჭი მოსაზრების გასაქარწყლებლად, რომლის წამოყენება შეიძლება გარაინების წინააღმდეგ.

საბჭოთა სისტემის დიდა-აზრი და ბუნება ისეთია, რომ ის ვერ წავა ქვეყნის წვრილ-ადმინისტრატიულ ერთეულებად დაქუცმაცების და კანცელარიების გამრავლების გზით; ის უნდა წავიდეს საბჭოების გამრავლების და ადმინისტრატიული ერთეულების გამსხვილების გზით.

სენაკის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე—ს, მამულია.

ზუგდიდის მუზეუმი

(პრაქტიკული წინადადება განათლების კომისარიატის საყურადღებოთ)

მე ამ დღეებში დავათვალიერე ქალაქ ზუგდიდში ყოფილი დადიანის სასახლე, სადაც მოთავსებულია მუზეუმი. ხსენებულ მუზეუმში მოთავსებული კოლლექციები ყველა ერთად აღებული დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს, თუმცა არის თითოეროლა ისეთი ეგზემპლიარებიც, რომელნიც საყურადღებოა. საგვარეულო სერვიზი, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს მუზეუმში, ისეთს არაფერს წარმოადგენს, რომ ღირსი იყოს მათი იქ. ე. ი. მუზეუმში დატოვება. რაც შეეხება დანარჩენ საგნებს, ისინი უნდა იქნან გადმოტანილი ქალაქ თბილისში ცენტრალურ მუზეუმში.

იქ კი, სადაც ეხლა მუზეუმი არის, ყოფილი დადიანის სასახლე, სასურველია მოეწყოს ზუგდიდის მაზრის გლეხთა სასახლე. **წინეთ, ხსენებულ სასახლეში ბუნაგობდენ და განცხრომას ეძლეოდენ ხალხის მტრები, ამიტომ უფრო სამართლიანია და უპრიანი ეხლა იქ მოეწყოს გლეხთა სასახლე.**

საგვარეულო სერვიზი კი გაიყიდოს და იქიდან აღებული ფული მოხმარდეს სასახლის მოწყობის საქმეს.

იმედია ყურადღებას მიაქცევს ჩემ მიერ აღძრულ საკითხს განათლების კომისარიატი.

კ. ხომერიკი.

საბჭოთა სასამართლო

საპროფოზეის და სხვათა საქმე

10 ივლისს, დილის 9 საათზე გახსნდა რამოდენიმე დღით შეწყვეტილი სასამართლოს სხდომები. ამ ხნის განმავლობაში ექსპერტიზა მუშაობდა საპრონოვის საქმის ციფრიულ მასალის მოწმესრიგებაზე და იმ კონკრეტულ კითხვების გამორკვევაზე, რომლებიც მისკენ მას სასამართლომ და მხარეებმა.

სხდომა დაიწყო ექსპერტთა დაწერილებითი ანგარიშის კითხვით.

გამოირკვა, რომ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გაუცია საპრონოვისათვის ოვინით, ტარით, ფულად, რკინის გზის ჩეკებით, აქციოზის გადასახადზე და ბრალდებულის საავჭრო საქმეთა გამოძიება-ლიკვიდაციაზე სულ 33.729 მანეთი და 77 კაპ. (ანგარიში სწარმოებს ოქროზე). საპრონოვისაგან კი კომისარიატს მიუღია ავტო-შინებით და კამერებით, ბანუფაქტურით, ტყურეულობით და სალაფეი მუშით სულ 11.329 მანეთი და 57 კ. მაშასადამე მიწ.-მოქმ. სახკომის ზარალი შეადგენს 22.400 მან. და 20 კაპ. გარდა ამ თანხისა კომისარიატი ვალდებულია გასცეს ამ. კავ. სატრანსპორტო სამმხმარებლო საზოგადოებას 12.274 მან. და 70 კაპ.

თავისი კონტრაგენტებისაგან, სახელდობრ: ჩრდილო-დასავლეთ რუსეთის რკ. გზათა სამმხმარებლო საზოგადოებისაგან, მოსკოვის ინკენერთა კოოპერატივისაგან („მოკოდო“), სომხეთის კოოპერატივთა კავშირისაგან, მოსკოვის სახელმწ. უნივერსალურ მაღაზიასა და სხვებისაგან საპრონოვს მიუღია საწინდრისა და ავანსების სახით სულ 37.720 მან და 65 კაპ., ხოლო სხვადასხვა დაწესებულებებსა და პირებისათვის მას გაუცია სულ 16.404 მან. 68 კაპ. საბალანსო ნაშთი უდრის 21.315 მან. 97 კაპ. მაშასადამე საპრონოვს ბრწ. მოქ. სახ. კომისარიატის ქონებიდან მიუთვისებია და გაუფლანგავს 22400 მან. 20 კაპ. (გარდა 12.274 მან. 70 კაპ., რომელიც კომისარიატმა კიდევ უნდა გადაიხადოს) და სხვა დაწესებულებს—21315 მ. 97 კ., ე. ი. სულ დაახლოვებით, 59000 მანეთზე მეტი. უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნულ ანგარიშში გათვალისწინებულია მხოლოდ ის თანხები (საქონლით და ფულად), რომლებიც მიწ.-მოქმ. სახ. კომისარიატმა **რეალურად** დაკარგა. მხედველობაში მიღებული არ არის სამოქალაქო საძიებლები, რომლებიც უკვე წარედგინა ან შეიძლება წარედგინოს მიწად-მოქმ. სახკომს დაზარალებულ დაწესებულებათა მხრით. როგორც კურიოზი უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საპრონოვის მიერ სასამართლოსადმი წარდგენილ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატს საპრონოვის ოპერაციებიდან **მოუგია** 19000 მანეთი. (!) ექსპერტთა მოხსენების შემდეგ სასამართლოს სხდომა შესწყდა. შემდეგ სხდომაზე გაიმართება მხარეების კამათი.

ქრონიკა

— **საგლეხო სესხი.** ქ. აღმასკომმა შეიძინა საგლეხო სესხის ობლიგაციები 6000 მანეთის.

— **საშუალო მოსავალი.** ტფილისის მაზრის მოსავლის გამომრკვევ კომისიის მოხსენების თანახმად, ქ. აღმასკომმა დაადასტურა საშუალო მოსავალი დესეტინაზე 15 ფ. ხორბალი რაოდენობით.

— **საცხოვრებელ სახლების ახალი აღწერა.** შეფასებითი გადასახადის სისწორით გატარების მიზნით, აღმასკომმა გადასწყვეტა მოახდინოს სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოსთან ერთად საცხოვრებელ სახლების ხელახალი აღწერა. აღწერის ჩასატარებლად გადაიდო 18,955 მან.

— **საზოგადო მყუდროების დარღვევისათვის.** 1-ლ ივნისიდან 1 ივლისამდე საზოგადო მყუდროების დარღვევისათვის მილიციის მიერ დაპატიმრებული იქნა 706 მოქალაქე (ამაში არ შედის სისხ. სამ. მილიციის ცნობები).

— **ხანძარი დახმარება სვანეთს.** ჯანმრთელობის კომისარიატმა ზემოსვანეთში ადგილობრივ მცხოვრებთა საექიმო დახმარების აღმოსაჩენად გააგზავნა საბეიო-საგინეკოლოგიო რაზმი ქირურგიული განყოფილებით.

— **ლენინის სახელობის სანიმუშო-საჩვენებელი მუშათა ახალშენი.** ცენტრალური აღმშენებლობა შეუდგა რამდენიმე სახლის აშენებას ლენინის სახელობის სანიმუშო-საჩვენებელ მუშათა ახალშენში, მუშა-აღმშენებლებისთვის, რომლებისავე საკუთარი შრომით იქნება აშენებული აღნიშნული სახლები.

— **სანიტარული მატარებელი.** წითელი ჯვარის სანიტარული მატარებელი დროებით გადაეცა საკურორტო მმართველობას და რკინისგზის დამზღვევ კასას დაზღვეულ ავადმყოფების გადასაყვანად აგარაკ-კურორტებზე.

— **სახლის აგება მბეჭდავთა კავშირის წევრებისათვის.** მუშათა საცხოვრებელ ბინების სააღმშენებლო ამხანაგობა ამჟამად ეკაკში აშენებს სახლს, რომელშიაც თითავსებული იქნება მბეჭდავთა კავშირის 26 ოჯახიანი წევრი.

— **მოხავალი დუშეთის მაზრაში.** დუშეთის მაზრაში ბარად გვალვამ და მინდვრის თაგვებმა მოსპეს მოსავალის 80 პროც. მთის რაიონებში კი საშუალო მოსავალს მოელიან.

— **სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.** თითქმის ყველა მაზრებიდან მოდის ცნობები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წარმატებით ჩატარების შესახებ. ზოგ ადგილას ამ მიზნით მოხდა საგადასახადო აღწერა.

— **წყალდიდობისაგან დაზარალებულ გლეხების ახალ ადგილებზე დასახლება.** სენაკის მაზრაში წყალდიდობისაგან დაზარალებულ გლეხების უშიშარ ადგილებზე გადმოსახლება დასრულდა ივნისის ბოლო რიცხვებში.

— **სასოფლო-მეურნეობა.** სენაკის მაზრაში სასოფლო-სამეურნეო დარგში ამ ჟამად სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა. ხდება სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთება, ბამბის პლანტაციის მოწყობა და ნათესების მავნეებთან ბრძოლა.

— **მიწათ მოწყობა.** მიწად-მოქმედების კომისარიატმა მაზრებში უკვე გაგზავნა მიწისმზომელები მაზრებში მიწათ-მოწყობის საქმის მოსაგვარებლად

— **კოლექტიური ხელშეკრულება.** შრომის კომისარიატის სატარიფო-საკონფლიქტო, განყოფილებას მაისივნისის განმავლობაში აღრიცხა 49 კოლექტიური ხელშეკრულება და 471 სატარიფო შეთანხმება.

— **კონფლიქტი.** ივნის-მაისის განმავლობაში შემარიგებელმა კომერამ და სამედიატორო სასამართლომ გაარჩია სულ 23 კონფლიქტი, მომჩივანთა მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი უდრიდა ერთად 6,878 კაცს. კონფლიქტი უმთავრესად აღძრული იყო ტრანსპორტის მუშათა კავშირისაგან.

— **დასასვენებელ სახლების დათვალიერება.** დამზღვევ კასის საექიმო განყოფილებამ დაათვალიერა საექიმო-სასანიტარო პირობების გამოსარკვევათ დასასვენებელი სახლები წყალერში, ბორჯომში და სურამში. სახლების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

დავალიანება. საქ. სახ. სამ. უმაღლეს მეურნეობის დავალიანება დამზღვევ კასისადმი გამოიხატება 73915 მან.

— **ელექტრო-მანქანების შეკეთა.** მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ელექტრონულ სადგურების საქმართველომ შეაკეთა ელექტრონის 135 ცხენის ძალიანი მანქანა.

ფეთხუნეული

— 1000 მან. წართმეული. 6 ივლისს, სალამის 9 საათზე მოქ. ოდლი ფლეგდენტენის ბინაზე ა. | კ. ჩეკას თანამშრომლების სახელით გამოცხადდენ რამდენიმე პირნი და აღნიშნულს ფულენდენტენის „ეკაბრეკის“ შემდეგ წართვეს 1000 მანეთის ძვირფასი ნივთები.

— ქურდობა. 7 ივლისს ალექსანდრიის ქ. № 35, ეგვენია გლაბაოსეგმა გაქურდა თავისი ქმარი ალექსანდრეულაბაშვილი. წაიღო ძვირფასი ნივთები., მაგრამ იმავე საღამოს შეიპყრეს ნაქურდალი

— ქურდობა. 6 ივლისს ღამით ბაგრატიონის ქ. № 15. ღია ფანჯარიდან „ადავლით გაქურდეს ლუკა გოგუაშვილის ბინა. წაიღეს 150 მან.

ხელოვნება

— **„ფოლადის წვრილი“.** ახალ ანში თბილისში გადაღებული იქნა ეკრანზე ახალი სურათი „ფოლადის წვრილი“.

— **„რეკვიემ“.** გამოვიდა პ. მანსვეტოვის მიერ დაწერილი მუსიკალური ნაწარმოები ამხ. კამოს ხსოვნის აღსანიშნავად „რეკვიემ“.

— **სიმფონიური კონცერტი.** დღეს კარლ მარქსის სახელობის კლუბში ეკამართება სიმფონიური კონცერტი ტროლერმანის დირიჟორობით წითელ-არმიელებისათვის.

— **საბალეტო საღამო.** დღეს საბჭოთა მუშაკების კლუბში გაიმართება არაურას სტუდიის საბალეტო საღამო.

— **სამუსიკო საზოგადოება.** ბათომში დაარსდა სამუსიკო საზოგადოება, რომლის დებუტება დაამტკიცა აჭარის განათლების განყოფილებამ.

მუშათა ცხოვრებიდან

ნამდვილად პატიოსანი მუშაკი.

პირაგოვის და ულიხანოვის ქუჩის უთხეში მოთავსებულია მუშაოთის ოუქანი № 12, რომლის გამგეობის ბორია ფეოფილაქტოვი. ჩვენ ეარხნის და სახელოსნოს მუშები მთავრულად აქ დიაიარებიან, მიაქვთ დუქნიდან სურსათ-საქონელი ელიტონენ მუშებს.

ამ დუქნის გამგემ ამხ. ბორ. ეოფილაქტოვმა დაიმსახურა ჩვენს უმებში სიყვარული და პატივისცემა, ლობა და საქმისადმი სისპეტაკე.

ფეოფილაქტოვი ღარიბი ოჯახის ეილია, აღიზარდა რა მუშათა უბანში ახლო იდგა და სდგას ამ ეამად ათთან, მათ მოთხოვნილებებთან. ეი წელზე მეტია, რაც ამხ ფეოფილატოვს ჩვენ ვხედავთ დუქნის გამგედ და არ ყოფილა შემთხვევა, რომ მის დუქანში რაიმე აურ-ბაურს, გაუგებრობას და ბოროტ-მოქმედებას ჰქონებოდა ადგილი. ამ დუქანში, როგორც თვითონ გამგე, ისე დანარჩენი თანამშრომელნი მეტად პატიოსნათ და ზრდილობიანი-თავაზიანობით ეპყრობიან მომხმარებელთ ჩვენს მუშებს.

გამგის პრაკტიკული და თეორეტიული მომზადებისა გამო, დუქანი ნაყოფიერად ვაკრობს და ბევრ წევრსაც მატებს მუშკოპს.

ხსენებულ დუქანში საქმეც კარგად არის დაყენებული, რაც მიეწერება ამხ. ფეოფილაქტოვის უნარიანობას, გამოცდილებას და საქმისადმი ღრმა სიყვარულს.

ჩვენი მუშური მადლობა ასეთ გამგეს, როგორც არის ამხ. ფეოფილაქტოვი. მუშკოოპმა ღირსეულად უნდა დაიფასოს ასეთი მუშაკი.

მუშკორი მელითონე.

მუშათა სახლის ცხოვრებიდან

ლადო დუმბაძის ქ. № 24, ბეჭდვითი საქმის პროფკავშირს აქვს სახლი, რომელშიც დასახლებული არიან ამავე კავშირის მუშა-მოსამსახურენი.

თანახმად პროფკავშირის მოწერილობისა, 30 ივნისს შესდგა მცხოვრებთა საერთო კრება, რომელიც გაეცნო მუშათა სახლებისათვის საგანგებოდ გამოცემულ ინსტრუქციას, რის შემდეგ კრებამ აირჩია სახლის კომიტეტი.

ბეჭდვითი კავშირის სახელით ამხ. არეშოვმა კრებას გაუკეთა მოხსენება საერთოდ მუშათა სახლის მდგომარეობის შესახებ და განსაკუთრებით აღნიშნა სახლს კომიტეტების აუცილებლობა მუშათა სახლებისთვის, როგორც მის მეთვალყურის.

ამავე ინსტრუქციის მიხედვით, სახლის კომიტეტებს დიდი მოვალეობა ეკისრება.

დღემდე ბეუ. სახლებს გამაგებდენ სახლკოოპდან დანიშნული გამგეები, რომელთაც არ შეეძლოთ დაახლოვებითი ყურადღება მიექციათ სახლების შიშაურ ცხოვრებისათვის და მათი მზრუნველობა თითქმის გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი ჰკრეფდენ მცხოვრებლებზე გაწერილ სხვადასხვა გადასახადის ფულს.

ეხლა საერთო ხელმძღვანელობას უწევს სახლთა კოოპერატივი და სახლის კომიტეტი ეი ექვემდებარება მას და სავსებით განაგებს სახლს.

შემდეგ ამისა კრება ირჩევს სახლის კომიტეტს, რომელშიც შედიან: მდივანი—ვიქტორ მეგრელაძე, წევრები: მაშო დალაქიანისა, ვანო ბოგდანოვი და ლიდა როსტომოვისა.

ვუსურვებთ ახალ სახ. კომიტეტს მათზე დაკისრებულ საქმის პირნათლად შესრულებას.

ინფ. ლადო.

ორთაჭალის რაიონში უნდა მუშაობდეს ორი ვაგონი ტრამვაის.

(ტრამვაის დირექციის საყურადღებოდ).

ყველას მოეხსენება, თუ რა დიდ გაჭირვებას განიცდიან მუშა-მოსამსახურეები ორთაჭალის რაიონისა. ამ მიმართულებით მუშაობს ერთი ვაგონი ტრამვაის. ამ რაიონში სხვათაშორის ფაბრიკა-ქარხნები და დაწესებულებები საკმაოდ არის, მუშა-მოსამსახურეთ უხდებათ ლოდინი 40 წუთი სანამ დაბრუნდებოდეს ის ერთი ვაგონი. მგზავრები ბევრია, ტრამვაის დასაჯდომზედ ხუთი ექსი კაცი ჯდება, დანარჩენი მუშა-მოსამსახურენი უცდიან მის დაბრუნებას. ეს რასაკვირველია მუშობას აფერხებს ფაბრიკა-დაწესებულებებში. კარგი იქნება, თუ მეორე ვაგონი არ შეეძლება, მისაბმელმა ვაგონმა მაინც იმუშაოს. ამით სახელმწიფოც ისარგებლებს და მუშა-მოსამსახურეებიც თავისუფლად იმოგზაურებენ.

ამ გარემოებას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, ტრამვაის დირექციის მიერ.

მუშკორი ა. დ. მათხოჯელი.

ესეც მცველია?

(ა | კ. რ | გ დამცველ რაზმის უფროსის საყურადღებოთ).

30 ივნისს თბილისის სადგურთან, მეეტლეებთან მივიდა ღვინით დამთვრალი რ | გ. მე-2-რე უბნის დამცველ რაზმის უფროსი მცველი, კრივეშვილი და მეეტლეს სთხოვა წაეყვანათ სახლში. როდესაც მეეტლეებმა სთხოვეს კანონიერი დაწესებული ნიხრი, მთვრალმა კრივეშვილმა ამოიღო რევოლვერი და შუადღისას ისროლა იმოდენა ხალხში, რამაც დიდი ძალი ხალხი შეაყარა.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთი უფროსი „მცველი“ კარგს ნაყოფს არ მოუტანს საბჭოთა ხელისუფლებას, რასაც ყურადღება უნდა მიაქციოს ა | კ. რ. | გ. დამცველ რაზმის უფროსმა ამხ. კოპლაშვილმა.

მუშკორი ნანუა.

რაშია საქმე?.!

ამ. კავ. ცენტ. სტატისტიკურ სამმართველოში ადგილი აქვს ასეთს მოვლენას: სტატისტიკოსები 1-ხარისხის ზოგი ღებულობს 55 მანეთს, ზოგი კი 50 მან.

როგორც ვიცით, ამ დაწესებულების მმართველი არის იგივე საქარ. ცენტ. სტატ. სამმართველოს მმართველი გ. გრიგორიანი.

ვეკითხებით მას, რომელი კანონის ძალით ან განაკვეთის მიხედვით აძლევს იგი უპირატესობას ამა თუ იმ პიროვნებას?.

თუ არ ვსცდები, განაკვეთი არ არჩევს პიროვნებას.

ერთნაირ თანამდებობაზე ერთნაირი ჯამაგირი უნდა ეძლეოდეს ყველას.

ინფ. შინაური.

ეს დაუშვებელია

(ჯანმრ. კომ. საყურადღებოდ).

კვირას, 6 ივნისს შემთხვევით ვიყავი 1-ლ ქალაქის საავადმყოფოში, უცბად ხმაურობაზე მივედი და ვნახე შემდეგი: მოსულიყო მომვლელ ქალებთან ვიღაც მთვრალი ადგილობრივი მოსამსახურე (აფთიაქში) ანტონ ღამბაშიძე, და ხან ერთს ედავებოდა და ხან მეორეს. ამბობდა: ყველა მომვლელ ქალებს დაგითხოვთო.

ამ დროს ერთ ქალს თხოვნა ხელიდან წაგლეჯა და მოუნდომა დახეევა, როდესაც მივმართე და უთხარი ასეთი საქციელი სირცხვილია, არ ვარგა, ის გინებით წამოიწია და დარტყმა მომინდომა და ბრძანების კილოთი მითხრა: გაეთრიე აქედანო!

საინტერესოა, ვინ მიანიჭა ამდენი უფლება ამ ვაკბატონს, რომელიც თავაზარს სცემს ადგილობრივ მოსამსახურეებს.

მე მოვითხოვ მოვთხოვოს მას სათანადო პასუხი.

ინფ. კუპრიელა.

ქუჩებში აყალ-მაყალს ადგილი არ უნდა ქონდეს.

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ).

30 ივნისს ლენინის უბანში ჩერქეზიშვილის ქუჩაზე „ზაკ-ტეკოს“ გვერდზედ ორ მთვრალ ძმა-ბიჭებს გაემართნათ მუშტი-კრივი და სცემდნენ ერთი მეორეს ქუჩაში. ხალხი ბლომათ ეხვია, იქვე მდგომ მილიციელებმა გვერდი აუარეს.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მილიციელები ვერ ასრულებენ მოვალეობას, რისთვისაც ისინი მოწოდებული არიან და ნებით თუ უნებლიეთ ხელს უწყობენ ამ საზიზღარ მოვლენას—ლოთობას.

მუშკორი ღანტკურელი.

აღმასკომის პასუხი ჩვენი მუშკორის შენიშვნაზე

შესახებ წერილისა, რომელიც მოთავსებულია გაზეთ „კომუნისტის“ № 113-ში სათაურით: **„ჩვენც მოგვხედეთ“**, თბილისის აღმასკომის კეთილმომწყობ განყოფილებამ მომართვით ა | წ. 28 ივნისიდან № 1879 შეგვატყობინა, რომ ამჟამად მუშაობა მიდის ნაძალადევში და რათა მუშაობა იყოს ნაყოფიერი, მანამ ნაძალადევში არ მოთავდება საკანალიზაციო მილების მოფენა, სხვა რაიონში მუშაობის გადატანა შეუძლებელია.“

ინფორმატორი ვლ. ნუცუბიძე.

მუშათა ქრონიკა

— **მკერავთა კავშირის სამდივნომ გადასწყვიტა** პროფსაბჭოს კლუბში გამართულ სომფონიურ კონცერტებზე მუშების დასასწრებლად ყოველ კვირეულად გამოიწეროს 75 ბილეთი.

— **საბჭოთა მუშ. კავშირის უმუშევართა წმენდის შედეგები.** უმუშევართა გამწმენდმა კომისიამ 32 უმუშევარ კავშირის წევრებიდან 4-ს მისცა სადილით სარგებლობის უფლება 2-ს ფულადი დახმარებისა, 2-საც დახმარების და სადილით. დანარჩენ 24-ს კი არ მიეცემთ არც ერთი გვარი დახმარება.

— **დახმარება უმუშევართ.** ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირმა კავშირის უმუშევარ წევრებს დაურიგა ივნისის თვის დახმარება. თითო ოჯახიან კავშირის წევრს მიეცა 5 მანეთი, უოჯახოს კი—3 მან.

ინფ. გოც ძე.

ნაღში. ეს დასი ერთსა და იმავე პიესას, კარგად მომზადებულს, გაითამაშებს თვეში უკანასკნელი 10—15 ჯერ მაინც სხვადასხვა სოფლებში.

მსგავსად ამისა შესაძლებელია

კულტმუშაობისათვის რაბაში

რაჭის გლეხობა ძლიერ ჩამორჩენილია მის ამხანაგებს—ქალაქის მუშებს და სხვა კუთხის გლეხებს. რაჭის მაზრის მესწავლეობლობა მასთან ახლოს არის, ეხმარება მათ, შეაქვს გლეხობაში შეძლებისდაგვარად სინათლის შუქი, მაგრამ ნახეგრათ მშიერ-ტიტველმა მასწავლებელმა როგორ შეიძინოს, გამოიწეროს ჟურნალ-გაზეთები, რომ მოშენტისდამიხედვით იმუშაოს მაზრაში. სანახევროთ ისიც ჩამორჩენილია და თავმინებებული. ამით აიხსნება კულტურულ მუშაობის მოდუნება რაჭაში, სადაც დღემდის გამეფებული იყო მატყუარა მღვდლების ცრუმორწმუნეობაზე ლაყბობა, მკითხავ-ექიმბაშების ბატონობა და სხვა მრავალი უკეღმართობა, რაც სულს უხუთავს და გზას უბორკავს გლეხს წინსვლისთვის, კულტურულ დონის ამაღლებისათვის.

არ შეიძლებოდა გულგრილად ეყურებია ამ სამწუხარო მოვლენისთვის თბილისში მცხოვრებ მშრომელ რა-

წ ყ ნ ე თ ი (თბილისის მაზრა)

ამჟამად განათლების დარგში მუშაობა ყველგან და დიდის მუყაითობით სწარმოებს. ამ ერთი წლის განმავლობაში წყნეთშიაც ბევრი რამ გაკეთდა. მოეწყო მოზრდილთათვის წ.-კ. სალიკვიდაციო სკოლა, გაიმართა ქოხ-სამკითხველო, კლუბი და სხვა, არა გვგონია, რომ მაზრაში სადმე იყოს მეორე ასეთი მოწყობილი კლუბი და ქოხ-სამკითხველო. ღამაზად დახატული კედლები, კოხტად გამართული საჯდომები, პატარა, მაგრამ გემოვნებაზე მორთული სცენა ყოველდღიურ ჭაპან-წყვეტაში დაღლილ-დაქანცულ გლეხის სულიერ განწყობილებაზე მეტად დამამშვიდებელ გავლენას ახდენს. კარგადაა მოწყობილი ქოხ-სამკითხველოც. საკმაოდ არის თანამედროვე ლიტერატურა. გაზეთები ახლა სისტემატიურად მოდის. შეფმა მოაწყო „ლენინის კუთხე“. საერთოდ შეფმა შესამჩნევი დახმარება გაუწია სოფელს. მოაწოდა სკოლის ღარიბ ბავშვებს რვეულები და სხვა სასწავლო ნივთები, სკოლას გაუკეთა რემონტი და სხვა. რასაკვირველია, ჩვენ შეფისაგან უფრო

ნაკლებ ელოდებოდეთ, ვინაიდან ეს ორგანიზაციაც ბევრ ადგილებზე ბევრ ამ-ბავ-ბაზარ-ბაზარ-ბაზარ